



გელათის სამონასტრო კომპლექსი

2024 წლის 7 თებერვლის გადაუდებელი მონიტორინგის მისიის ანგარიში

მომზადებულია: არქიტექტორ ვახტანგ ზესაშვილის მიერ

შესავალი

საქართველოში, ისტორიულ ქალაქ ქუთაისთან ახლოს მდებარე გელათის მონასტერი რეგიონის მდიდარი კულტურული და არქიტექტურული მემკვიდრეობის დამადასტურებელი ძეგლია. იგი მე-12 საუკუნიდან იღებს სათავეს, როდესაც საქართველოს მეფე დავით IV-ემ (დავით აღმაშენებელმა) დააარსა ეს სულიერი წალკოტი. მონასტერი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების განსაცვიფრებელი ნაზავით, რთული ფრესკებით და მშვიდი გარემოთი, სულიერი თავდადებისა და მხატვრული მიღწევების სიმბოლო გახდა.

გელათის მონასტერი რელიგიურ ცენტრთან ერთად, დროთა განმავლობაში განათლებისა და განმანათლებლობის ცენტრად იქცა; ის იზიდავდა არაერთი ქვეყნის სწავლულს, ღვთისმეტყველსა და ფილოსოფოსს. მეფე დავით IV-ის მიერ დაარსებულმა სასწავლებელმა გადამწვეტი წვლილი შეიტანა ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაში და საპატიო ადგილი დაიმკვიდრა კულტურის ისტორიის მატრიანეში.

1994 წელს, საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა გელათის მონასტრის განსაკუთრებული ღირებულება და შეიტანა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. ეს აღიარება ხაზს უსვამს გელათის საყოველთაო, მსოფლიო მნიშვნელობას. ამ პრესტიჟულ სიაში მონასტრის შეყვანა მოწმობს გელათის სამონასტრო კომპლექსის არქიტექტურული ანსამბლის უნიკალურობას, ამასთან ერთად კი, მის გამორჩეულ სულიერ და საგანმანათლებლო როლს.

ის წარმოადგენს ერთგვარ ხიდს წარსულსა და აწმყოს შორის და აკავშირებს თაობებს თავისი ღრმა ისტორიული ღირებულებით, არქიტექტურული სიდიადით და სულიერი მნიშვნელობით. როგორც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი, იგი მნახველს უნერგავს პატივისცემას, აიძულებს ჩაუღრმავდეს ქართული კულტურისა და ისტორიის მდიდარ სურათს, რომელიც მის უძველეს კედლებზე იშლება.

საფუძველი:

სამწუხაროდ, 2009-2019 წლებში განხორციელებული ყოვლისმომცველი კონსერვაციის პროგრამა გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე, წარუმატებელი იყო. ღვთისმშობლის ტაძარზე ბოლო დროს მოწყობილი კრამიტის სახურავის გაუმართაობა 2020 წლის დასაწყისში გამოვლინდა, დაზიანდა ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობა და მოზაიკა, რაც უარყოფითად აისახება ძეგლის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებაზე.

დაცვის გადაუდებელი ზომების ფარგლებში განხორციელდა სპეციალური ღონისძიებები ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ტაძრების დროებითი გადახურვის მიზნით. თუმცა, ვერ გამოიძებნა ვარიანტი, რომელიც უნდა უზრუნველყოფს სათანადო გადახურვას.

შესაბამისად, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მტკიცედ მოუწოდა სახელმწიფოს უზრუნველყოს პრობლემის გადაწყვეტის უფრო ეფექტური ვარიანტი ღვთისმშობლის

ტაძრის გადახურვისთვის, იმგვარად, რომ კონსერვაციის აქტივობები შეუფერხებლად განხორციელდეს, ტენის შეღწევის რისკის გარეშე.

ახალი დროებითი გადახურვის მოწყობის გადაუდებელი აუცილებლობის საპასუხოდ, შენობის მდგომარეობის შემდგომი დეტალური შესწავლისთვის, დაზიანების წყაროს, ასევე კონსერვაციის ზომების შემუშავებისა და განხორციელებისთვის, მომზადდა ღვთისმშობლის ტაძრის ახალი დროებითი გადახურვის საპროექტო დოკუმენტაცია და 2023 წლის ნოემბერში წარედგინა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს.


გადაუდებელი მონიტორინგის მისიის მიზეზები:

2024 წლის 5 და 6 თებერვალს, დასავლეთ საქართველო და კერძოდ იმერეთის რეგიონი, სადაც გელათის მონასტერი მდებარეობს, ძლიერმა გრიგალმა მოიცვა; გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. გრიგალის შედეგად მიყენებულმა ზარალმა არა მხოლოდ შენობა-ნაგებობები და ინფრასტრუქტურა დააზარალა, არამედ ადამიანების სიცოცხლეც იმსხვერპლა.


მონასტრის ტერიტორიაზე, მდებარე მეტეოროლოგიურმა სადგურმა დააფიქსირა 110 კმ/სთ-ზე მაღალი ქარის სიჩქარე, 115 კმ/სთ პიკური სიჩქარით, ძირითადად სამხრეთ/დასავლეთის მიმართულების. გრიგალს ახლდა ძლიერი წვიმაც. ძლიერმა ქარმა და წვიმამ მთელ რეგიონს მიაყენა ზიანი. გადაუდებელი მონიტორინგის მისია განხორციელდა 2024 წლის 7 თებერვალს, გელათის სამონასტრო კომპლექსზე გრიგალის შესაძლო ზემოქმედების დასადგენად.

გადაუდებელი მონიტორინგის მისიის დასკვნები: წყლის შეღწევა ტაძრებში

2024 წლის 7 თებერვლის გადაუდებელი მონიტორინგის მისიის შედეგად დადგინდა, რომ ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის ტაძრების ფასადების ყველა კედელი სრულად დასველდა. ძლიერი ქარის და წვიმის შედეგად, კედლებზე მოხვდა დიდი რაოდენობით წყალი, რამაც გამოიწვია ტაძრებში წყლის შეღწევა.



ფოტო: 2024 წლის 7 იანვარი



ფოტო: 2024 წლის 7 იანვარი

ზოგ შემთხვევაში, წყლის შეღწევის წერტილების იდენტიფიცირება მარტივია, ხოლო ზოგ შემთხვევაში რთულდება სახურავის შემოწმების შეზღუდვების გამო, რამდენადაც სახურავი დაფარულია გოფირებული ლითონის დამცავი ფენებით. შეგვიძლია წარმოვადგინოთ სავარაუდო პოტენციური მარშრუტები, რომლითაც შეიძლება წყალმა ტაძარში შეაღწიოს, თუმცა აბსოლუტური დარწმუნებით მონაცემებს ვერ დავადასტურებთ.

წყალმა შეაღწია ღვთისმშობლის მთავარ და წმინდა გიორგის ტაძრებში. ორივე ტაძარი გადახურულია ბოლო წლებში მოწყობილი დროებითი სახურავით. დროებითი სახურავები დამზადებულია გოფირებული ლითონისგან და ეყრდნობა მოჭიქულ კრამიტს.

ღვთისმშობლის ტაძარში გამოვლინდა წყლის შეღწევის სამი ძირითადი წერტილი:

- წყლის შეღწევა მკაფიოდ დაფიქსირდა მთავარი ტაძრის დასავლეთ ფსადის სამივე სარკმლიდან. სამხრეთით მდებარე სარკმელი ყველაზე მეტად დაზარალდა.



ფოტო: 2024 წლის 7 იანვარი



ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ფასადის სარკმლების ხის ჩარჩოები დაზიანებულია და ფოსოში აქვს მცირე ბზარები. მსუბუქად დაზიანებულია სარკმლის ჩარჩოების კედელთან შეერთების მონაკვეთიც, საიდანაც მოხდა წყლის შეღწევა. ამასთან, სარკმელს აქვთ ზედა საკეტები ვენტილაციისთვის, რაც ხელს უწყობს წყლის შეღწევას ძლიერი ქარის დროს.

ფოტო: 2024 წლის 7 იანვარი

- წყლის შეღწევის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა ნართექსისა და ტაძრის ძირითად კორპუსთან შეერთების ადგილას, კონკრეტულად, ნაოსის მთავარი კარის ზემოთ.



ფოტო: 2024 წლის 17 დეკემბერი



ფოტო: 2024 წლის 13 დეკემბერი

ტამარსა და ნართექსს შორის კავშირი თავისთავად სუსტი კომპონენტია, რაც მას განსაკუთრებით მყიფეს ხდის წვიმის დროს, როდესაც ხდება კედლის დასველება/გაჟღენთვა. კედლისა და გოფირებული ლითონის ფურცლების შეკავშირების ადგილზე ჩანს სხვადასხვა ზომის ნახვრეტები, მთელ სიგრძეზე. იხ. ზემოთ მოცემულ ფოტო.

ნართექსის სახურავის ქვედა მხარე წარმოადგენს ორი ტიპის კონსტრუქციას: ერთი აგებულია პემზის ბლოკებისგან, ხოლო მეორე ხის ძელებისგან. მისაწვდომი ნაწილის გულდასმით შემოწმების შედეგად დაფიქსირდა წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ ხის კონსტრუქციის ქვეშ, ნართექსის შიგნით არ დაფიქსირებულა სისველის ნიშნები; წყლის შეღწევა დაფიქსირდა პემზის ბლოკის კონსტრუქციის ქვეშ.

- სამხრეთ ფრთის ჩრდილოეთ კედლის გასწვრივ დაფიქსირდა წყლის შეღწევა. შეუძლებელია კონსტრუქციის ამ ნაწილში წყლის შეღწევის კონკრეტული წერტილის დაფიქსირება, რადგან იგი დაფარულია ლითონის დამცავი გადახურვით.



ფოტო: 2024 წლის 7 იანვარი


შიდა მხარეს, წყლის შეღწევის წერტილი მდებარეობს 15 მეტრის სიმაღლეზე და ემთხვევა არსებულ ბზარს, რომელიც აღმოჩენილია და მითითებულია უგო ტონიეტის 2022 წლის 9 ივნისის ანგარიშში. რა თქმა უნდა, ბზარმა ხელი შეუწყო წყლის ასეთ მოკლე დროში შეღწევას.



ფოტო: 2024 წლის 7 იანვარი



ფოტო: 2022



სამხრეთ (ზედა) და ჩრდილოეთ (ქვედა)
კედლის გრძივი ნაპრალების გეგმა
(არქიტექტორ ლაშა შარტავას ნახაზი, 2022)

ნაპრალი ამჟამად დაფარულია კირის დუღაბით, რომელსაც ეყრდნობა დროებითი ვენტილირებადი სახურავი, რომლის შემოწმების შესაძლებლობა არ გვაქვს. ბზარის სიღრმე და შიდა კედელზე შეღწევის წერტილი ძალიან მსგავსია. ამის გამო, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ბზარმა გააადვილა წყლის შეღწევა.



დროებითი სახურავის ქვეშ ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა წყლის შეღწევა, როგორც ეს ფოტოზეა ნაჩვენები. პემზის მარცვლების ფერის შეცვლა მიუთითებს დატენიანებაზე, განსაკუთრებით კირის დუღაბის ფილასთან. ცხადია, რომ დროებითმა სახურავმა ვერ გაუძლო ძლიერ ქარს, რის შედეგადაც წყალმა შეაღწია შიდა ნაწილში.

წმინდა გიორგის ტაძარში დაფიქსირდა წყლის შეღწევის ერთი მთავარი წერტილი:

- წმინდა გიორგის ტაძარში წყლის შეღწევა ფიქსირდება გუმბათის სარკმლიდან. სამხრეთ-დასავლეთის სარკმილმა, რომლებზეც განსაკუთრებული ზემოქმედება იქონია ქარმა და წვიმამ, გაამარტივა წყლის შეღწევა. სარკმლის ხის ჩარჩოები არ არის მაღალი ხარისხის. ერთი სარკმელი, როგორც ჩანს ადრე შეიკვალა და გამაგრდა ქაფით.



ფოტო: 2024 წლის 7 იანვარი



ფოტო: 2024 წლის 7 იანვარი

წარსულში სამხრეთ-დასავლეთის ორი სარკმელი აგურისგან იყო მოწყობილი, როგორც ჩანს ღვთისმშობლის ტაძრის ფოტოზე, ამ ტიპის ქარიშხლისგან დაცვის მიზნით.

მოკლე დასკვნა:

2024 წლის 7 თებერვლის მონიტორინგით დგინდება, რომ გელათის მონასტრის ძეგლების კონსტრუქციები კვლავ დაუცველია გარემოს ძლიერი ზემოქმედებისგან. არსებული ლითონის დროებითი გადახურვის გამო, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია წყლის შეღწევის მიზეზების საფუძვლიანად გამოკვლევა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ახალი დროებითი გადახურვის დროულად მოწყობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ კონსერვაციის საკითხები და უზრუნველყოფს მთავარი ტაძრის მთლიანი კონსტრუქციის (კედლებისა და გადახურვის) სრულად დაცვას გარემოს შესაძლო მომავალი ზემოქმედებისაგან, გელათის მონასტრის რელიეფის გეომორფოლოგიისა და ამ ტერიტორიაზე ამინდის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, სადაც ხშირია ძლიერი ქარი.

გუმბათის სარკმლების დაცვა შეიძლება მოეწყოს გამჭვირვალე მასალების გამოყენებით, მაგალითად ორგანული მინა („პლექსიგლასი“) გარედან, რაც შესაძლებელს გახდის ტაძარში შუქის შესვლას და პარალელურად ფანჯრის ჩარჩოს გამოყენებას საყრდენის სახით.

სასწრაფოდ უნდა იქნას განხილული ორივე ტაძარში დროებითი სახურავის ფურცლების და ქვის კედლების შეერთების წერტილის საკითხი. სირთულეს იწვევს ქვის წყობის ირეგულარული ხასიათი. რბილი მასალები, როგორცაა ტყვია, შეიძლება გამოყენებულ იქნას უწესრიგო ფორმის კორექტირებისთვის, ან ალტერნატივის სახით, მოხდეს ფორმების სკანირება 3D ლაზერით და შესაბამისი ფორმის 3D პრინტერით შექმნილი დეტალებით, რაც უზრუნველყოფს ნაგებობების მაქსიმალურ დაცვას.

არქიტექტორი ვახტანგ ზესაშვილი

თბილისი

17/02/2024